PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ფრიდონ გოგიაშვილი

წევრები: ქეთევან ღვანიძე

ირაკლი მანველიძე

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

1. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ პროფესიული საგანმათლებლო პროგრამების დამატების მიზნით სსიპ განათლების ხარიხსის განვიტარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილ იქნა განაცხადი (12.06.2020. №46460, №464529)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის №508558 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ფრიდონ გოგიაშვილი- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, თავჯდომარე;
2. ქეთევან ღვანიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, წევრი;
3. ირაკლი მანველიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი, წევრი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს დროულად მიეწოდა დაწესებულებების მიერ პროგრამის დამატებისათვის ყველა საჭირო დოკუმენტაცია. ექსპერტა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პირველადი განხილვის შემდეგ შედგენილ იქნა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გადაეგზავნა სსიპ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრს და შეთანხმების შემდეგ დროულად მიეწოდა საგანმანათლებლო დაწესებულებას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 9 ივლისს.

ვიზიტის პირველ დღეს შედგა შეხვედრა სენაკის სასწავლო ბაზის ადმინისტრაციის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. იმავე დღეს გადამოწმდა პროგრამის ირგვლივ დაწესებულებაში არსებული ნორმატიული და მარეგულირებელი დოკუმენტაცია.

იმის გამო, რომ ვიზიტის განხორციელებისათვის საჭირო მასალები ექსპერტთა ჯგუფს გადაეცა ვიზიტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ჯგუფს საშუალება მიეცა ვიზიტის ძირითადი დრო დაეთმო პროგრამის განხორციელების ადგილზე არსებული გარემოებების და იმ საკითხების შესწავლისათვის, რომელთა მიმართ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტებს წინასწარი განხილვის დროს გაუჩნდათ გარკვეული კითხვები და მოსაზრებები. აღნიშნული საკითხები განხილულ იქნა პროგრამის ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიურების და პრაქტიკული კომპონენტების განმახორციელებელ დაწესებულებებში კომპეტენტურ პირებტან გასაუბრების დროს. პროგრამის განხორციელების ადგილზე მოხდა პროგრამისთვის საჭირო მატერიალური რესურსის და საბიბლიოთეკო ფონდის გადამოწმებაც.

ვიზიტის სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯამებულ იქნა ჩატარებული სამუშაოს შედეგები. დასკვნით შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფმა სენაკის სასწავლო ბაზის წარმომადგენლებს გააცნო ის ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, რომელიც აისახება საბოლოო დასკვნაში.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი დასრულდა 2020 წლის 9 ივლისს.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებში წინა ვიზიტის დროს მიცემული რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით ჩატარებულია გარკვეული სამუშაოები კერძოედ, გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში დაემატა ხელშეკრულებები, სადაც დაფიქსირებული არის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა მარეგულირებელ წესებსა და დებულბებში გაწერილია სტრუქტურულ ერთეულებს

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შორის თანამშრომლობა. ცეცხლმაქრების დამატების საკითხი გათვალისწინებულია დასრულდეს მიმდინარე წლის განმავლობაში.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, კომპონენტის მითითებით გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომლებიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში. თუკი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის დადგენისას გამოიკვეთა ავტორიზაციის რომელიმე სხვა სტანდარტის (არაპროგრამული) დარღვევის ფაქტი, გთხოვთ, აღწეროთ აქვე, კონკრეტული კომპონენტის მითითებით.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

განვითარების რეკომენდაცია

1. სასურველია სწავლების ხარისხის ამაღლების და ეფექტური კომუნიკაციის განხორციელების მიზნით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის სენაკის სასწავლო ბაზაზე მუდმივად იმყოფებოდეს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი(2.3.1.2);

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. ინფორმაცია ესდი-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	V
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება №34. 11/06/020 წ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ.სენაკი. მშვიდობის ქ №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	60
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“

1. **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებასდაშეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

შოთა მესხიას სახელობის ქ. ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 იანვრის #4 დადგენილებაში, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგი/წესი“ მუხლი 5 -ით განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების პროცედურა.

პროცედურის მიხედვით, პროგრამის დამატების ინიციატორი შეიძლება იყოს სასწავლო უნივერსიტეტი, დამსაქმებელი, საინიციატივო ჯგუფი და სხვა. ახალი პროგრამის დამატების შესახებ ინიცირება უნდა იყოს წერილობითი ფორმით - „პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება“, შესაბამისი ბაზრის კვლევის ან სხვა საჭიროებიდან გამომდინარე. პროგრამის დამატების ინიციატივას და მიზანშეწონილობას იხილავს სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით, უნივერსიტეტი ამტკიცებს სამუშაო ჯგუფის შემადგენლობას. სამუშაო ჯგუფი შემუშავებულ პროგრამას შესათანხმებლად წარუდგენს პროფესიული განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
განვითარების სამსახურის უფროსს. თანხმობის შემთხვევაში პროგრამა შეფასებისთვის გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მასალებს, თანამშრომლობს ჯგუფთან პროგრამის შემუშავების პროცესში, გასცემს რეკომენდაციებს და პროგრამას დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის 2018 წლის 20 დეკემბრის #49 წერილის დანართით წარმოდგენილია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ რეგიონში ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, რომლის მიზანს წარმოადგენდა რეგიონში გარკვეულ პროფესიებზე მოთხოვნის შესწავლა. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ კვლევის ჩატარებისათვის დაწესებულების მხრიდან გამოყენებული იქნა ონლაინ კითხვარი, რომელიც მოიცავდა როგორც ღია ასევე დახურული ტიპის შეკითხვებს. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 32 საბავშვო ბაგა–ბაღის დირექტორმა რაც გამოკითხულთა საერთო რაოდენობის 51% შეადგენდა.

სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ შემუშავების მიზნით აკადემიური საბჭოს 2019 წლის 11 ინვრის #02 დადგენილებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი. სამუშაო ჯგუფს წარმოდგენილი აქვს ანგარიში, რომელიც ასახულია 2019 წლის 12 ივნისის, 2 ნოემბრის #2 და 2020 წლის 5 ივნისის #3 სხდომის ოქმებში, სხდომის ოქმების თანახმად,სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა მიზნად ისახავდა საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამისთვის „აღმზრდელი“ სამოქმედო გეგმის შემუშავებას, მომდევნო, სამოქმედო გეგმის შუალედურ ანგარიშის და ბოლო სამუშაო ჯგუფის მიერ სამოქმედო გეგმის დასკვნით ანგარიშს. 2020 წლის 5 ივნისი # 3 სხდომის ოქმის თნახმად, სხდომამ დაადგინა, რომ არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემუშავებული პროგრამა წარედგინოს სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის #28 სხდომის ოქმი, რომელიც საფუძვლად დაედო აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის # 58 და #59 დადგენილებებს, რომელშიც განსაზღვრულია უნივერსიტეტისათვის პრიორიტეტული დარგები და დადასტურებულია პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სხდომის ოქმით ვგებულობთ, რომ აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება დაეყრდნო როგორც საკანონმდებლო აქტების გამო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების აუცილებლობას, ასევე რეგიონის საჭიროებებს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში კვალიფიციური სპეციალისტებზე მოთხოვნას, დასაქმების შესაძლებლობით.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 20 თებერვლის # 656 წერილი, სადაც მუნიციპალიტეტის მხრიდან იკვეთება მხარდაჭერა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან პროფესიული პროგრამების დანერგვის ინიციატივა, რადგან მათი აზრით ეს პროფესიები სტრატეგიულად მნიშვნელოვანია როგორც მათთვის ასევე რეგიონის ეკონომიკური განვითარებისათვის.წერილის შინაარსიდან ასევე ვგებულობთ , რომ დაწესებულების მხრიდან პროგრამის განხორციელების აქტუალობას განაპირობებს რეგიონის შრომის ბაზარზე შესაბამისი კვალიფიკაციის კადრებზე მზარდი მოთხოვნა. პროგრამების არსებობა თავიდან აიცილებს რეგიონიდან ახალგაზრდების გადინებას, აღნიშნული თავის მხრივ გავლენას მოახდენს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა: იყოს რეგიონში ძლიერი საგანმანათლებლო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, რომელიც საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავს განათლების სახელმწიფო პოლიტიკის, რეგიონის პრიორიტეტების გათვალისწინებით, საქართველოს როგორც უმაღლეს, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე რეფორმების კვალდაკვალ. უნივერსიტეტის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას.

2. **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.

პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის 2020 წლის 11 ივნისის #33 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ , რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებულ პროცედურებს. აღნიშნული წესის თანახმად უნივერსიტეტში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების“ შესაბამისად.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის #14 დადგენილებით „სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით „ განსაზღვრულია უნივერსიტეტის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის კრიტერიუმები; მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმები; დასაქმების ბაზრის მოთხოვნის, კვლევის მაჩვენებლები/შრომისა და განათლების ბაზრის მოთხოვნების ანალიზი; უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; ადამიანური რესურსი; და სხვა.

მეთოდოლოგიის თანახმად, ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას უნივერსიტეტი ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო სივრცის არსებობას, კერძოდ A,B და C(საჭიროების შემთხვევაში) გარემოებს, რომლებიც აღჭურვილი იქნება სწავლებისათვის აუცილებელი შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ დაწესებულება ითხოვს 60 სტუდენტის მიღებას (ორი ცვლის გათვალისწინებით, სამი მიღება, თითო ცვლაში 20-20 სტუდენტი). სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულება აპირებს 20 სტუდენტის მიღებას ყოველწლიურად, სამი წლის განმავლობაში.

დაწესებულების მიერ სწავლებისათვის გამოყოფილი გარემო საშუალებას იძლევა ერთმიღებაზე დაუშვას 20 პროფესიული სტუდენტი, ჯამში სამი წლის განმავლობაში 60 პროფესიული სტუდენტი

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

დაწესებულებას წარმოდეგენილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი (პროგრამის დანართი) და სასწავლო რესურსი, რომლებიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამის არჩევითი მოდულის, შერჩევის და შემუშავების წესი განსაზღვრულია სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 იანვრის # 4 დადგენილებით „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგი/წესი“ .

სასწავლო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს არჩევით მოდულს „რუსული ენა“ რომელიც დაწესებულების თქმით ლოგიკურ კავშირშია პროგრამასთან ვინაიდან კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს ჰქონდეს მეორე უცხოენის პრაქტიკული უნარი.

პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ არჩევითი მოდულის „რუსული ენა“ მოცულობა 4 კრედიტია და არ აღემტაება ამავე პროფესიული პროგრამის მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის 20%–ს.

6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს-აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის # 34 დადგენილებით. მათ მიერ პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების აკადემიური საბჭოს დებულებით (11.01.2019- #02);

ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა აკადემიური საბჭოს 2020 წლის 22 ივნისი #38 დადგენილება „სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის #34 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენილი ცვლილებებით დამტკიცებისა და აღნიშნული პროგრამების განხორციელების შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის გეგმების დამტკიცების შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, მათ შორის ცვლილება პროგრამაში „სკოლამდელი აღზრდა“, რაც ითვალისწინებს მოდულში მუსიკა და მოძრაობა სასწავლო ელ.რესურსი საბავშვო ბაგაბაღის აღმზრდელის დამხმარე სახელმძღვანელოს დამატებას.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა " სკოლამდელი აღზრდა", იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; 3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; 4.წარმატებული,უსაფრთხო,მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა;

პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი" საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული "აღმზრდელის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, სწავლის შედეგად მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი, არჩევითი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის.რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით.სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

მოდულებში აღნიშნულია შეფასებისმიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებათან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 120 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული) არჩევითი მოდულის - 4 კრედიტი (1 მოდული) - სწავლების ხანგრძლივობაა 21,5 სასწავლო თვე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 150 კრედიტია.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელებბის შესახებ გადაწყვეტილება ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას პრიორიტეტების განსაზღვრის თაობაზე. აღნიშნული პრიორიტეტები ასახული არის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში (20.12.2018წ აკადემიური საბჭოს №58 და №59 დადგენილებები) აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო საკანონმდებლო აქტები და რეგიონების საჭიროებები. გადაწყვეტილების მიღების დროს გათვალისწინებული იქნა აგრეთვე კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამუშავების პროცესში გათვალისწინებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას, ხოლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები განსაზღვრულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, სადაც გაწერილი არის ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებული ყველა პროცედურა (აკადემიური საბჭოს დადგენილება №33 11/06/2020წ). მათ შორის არის შშმ და სსმ პირთა პროგრამაზე რეგისტრაციის, შერჩევის და ჩარიცხვის პროცედურები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვირსათვის გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სასწავლო და დამხმარე ფართების სიდიდე, ადამიანური რესურსი. მათ შორის პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა. პროფესიულ პროგრამაზე მისაღებ აპლიკანტთა განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია ბაზრის მოტხოვნების ანალიზი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა, ფინანსური რესურსების სიდიდე,პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა. კონტიგენტის რაოდენობის განსაზღვრა ხდება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროფესიულ საგანმანატლებლო პროგრამაზე - სკოლამდელი აღზრდა მისაბ პროფესიულ სტუდენტტა რაოდენობა არის 36. კონტიგენტის მირება გათვალისწინებულია ორ მიღებაზე. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს „სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოგია(აკადემიური საბჭოს დადგებილება №21, 16/04/2018, დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს №14 დადგენილებით 20/04/2018წ) აღნიშნული პროგრამის

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ფარგლებში მოტხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 60 პროფესიულ სტუდენტს ინტეგრირებული და არაინტეგრირებული პროგრამისათვის ერთიანი ქვოტის ფარგლებში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალსიწინებულია არცევითი მოდული (რუსული ენა), რომელიც ლოგიკურ კავშირშია პროგრამასთან და კურსდამტავრებულებს მეორე უცხო ენის პრაქტიკულ უნარს აძლევს სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცებზე უფლებამოსილი ორგანო არის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 11/06/2020 წლის №34 დადგენილებით.

პროგრამის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს „აღმზრდელი“. მთლიანად საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოტხოვნებს. კერძოდ, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის №192/ი ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი „აღმზრდელი“ (ცვლილება 20/05/2020 №58/ნ ბრძანება)

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- შოთა მესხიას სახელობის ქ. ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 იანვრის #4 დადგენილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგი/წესი“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის #28 სხდომის ოქმი;
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 დეკემბრის # 58 და #59 დადგენილებები;
- ქ. ზუგდიდის მინიციპალიტეტის მერიის წერილი (15/02/2019 - #02/1752);
- სასწავლო უნივერსიტეტის 2020 წლის 11 ივნისის #33 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის #14 დადგენილება „სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა/ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია „
- სასწავლო უნივერსიტეტის უფლებამოსილი ორგანოს-აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 ივნისის # 34 დადგენილება „პროფესიული პროგრამების დამტკიცების შესახებ“;
- აკადემიური საბჭოს დებულება (11.01.2019- #02);
- საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
☐არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A , B და C გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 20 პროფესიულ სტუდენტზე.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნული აუდიტორიების გადამოწმება, აღმოჩნდა,რომ დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს ერთი A გარემო (იმიტირებული ოთახი) #307 (44 მ2) და B გარემო #106–ე აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 20 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ სასწავლო უნივერსიტეტს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 20 პროფესიულ სტუდენტზე, 1დაფა, 1 პროექტორი, 1 ლეპტოპი, 1 პრინტერი (კომბაინი) და 1 –ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). B გარემო აღჭურვილია 20 კომპიუტერით სტუდენტებისათვის და 1 მასწავლებლის კომპიუტერით. აღნიშნულ პროგრამაზე კოლეჯს სურს ყოველწლიურად 20 პროფეიული სტუდენტის მიღება, სამი წლის განმავლობში (ჯამში 60 სტუდენტი).

საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს უღთიერთანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებასთან (09/06/2020 – #2/5). მემორანდუმი მიზნად ისახავს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფის საკითხებში თანამშრომლობას, სასწავლო პროცესში პროფესიული სტუდენტების მიერ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობად გამტკიცებაში, პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური კვალიფიციური კადრების მომზადებაში მონაწილეობას. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის 20 პროფესიული სტუდენტი პრაქტიკის ობიექტით, ქ. სენაკის # 1 და # 6 საბავშვო ბაგა–ბაღების ბაზაზე და გამოყოს მათთვის შესაბამისი დარგის სპეციალისტი.

ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პირს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენები პრაქტიკას გაივლიან თავისივე დაქვემდებარებაში არსებულ საბავშვო ბაგა–ბაღში, რომელიც 6 ჯგუფიანია, ყველა ასაკობრივი ჯგუფითა და გამოცდილების მქონე დასაქმებული პერსონალით. მან აღნიშნა, რომ ამ ერთი პრაქტიკის ბაზაზე თავისუფლად შეძლებს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებას, სადაც ისინი შეძლებენ პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებასა და მიღებული თეორიული ცოდნის გამტკიცებას.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 10– ი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, მათ შორის 3 ზოგადი, 6 სავალდებულო და 1 არჩევითი მოდულის განმახორციელებელი, რომლებთანაც გაფორმებული აქვს დასაქმების კანდიდატის ხელშეკრულებები.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განმახორციელებელი პერსონალის შერჩევის წესი და ხელშეკრულების პირობები, მოცემულია სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 იანვრის #4 დადგენილებაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგი/წესი“ (მუხლი 4 – ი ,თავი 7).

დაწესებულებმ წარმოადგინა ასევე სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2020 წლის 29 ივნისის # 12 დადგენილებით დამტკიცებული „შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზრაურების წესით მოწვეული მასწავლებლების (სპეციალისტის შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზრაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“, რომელსაც ახლავს დადგენილებით დამტკიცებული დანართები: ხელშეკრულების ფორმა,პროფესიული განათლების მასწავლებლის ფუნქციამოვალეობები და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციამოვალეობი.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, აღმოჩნდა რომ მათ აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება და შესაბამისი კომპეტენცია ღნიშნული პროგრამის განხორციელებისათვის.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტთა ჯგუფში მყოფი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტმა გადაამოწმა იმ აკადემიური პერსონალის დატვირთვა,რომლებიც ანხორციელებდნენ ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს. შემოწმებისას დადგინდა,რომ დატვირთვების კვეთას ადგილი არ აქვს.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

სასწავლო უნივერსიტეტს პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური, დარგის სპეციალისტი. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია–მოვალეობები და სამუშაო დატვირთვა დამტკიცებულია სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 17 თებერვლის ბრძანებით, რომლის თანახმადაც პროგრამის ხელმძღვანელს ევალება მონაწილეობა მიიღოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შმუშავებაში, განახორციელოს პროგარამის ფარგლებში მოდულების განმახორციელებელი პირების კონსულტაცია კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების მიზნით,მოდულების განხორციელების მიზნით მოახდინოს შესაძენი მასალა–ნედლეულის დროული იდენტიფიცირება და ინფორმაციის მიწოდება პროფესიული განათლების განვითარების სამსახურისთვის,იქონიოს ეფექტური თანამშრომლობა პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან/პროფესიული პროგრამების განყოფილებასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 4 იანვრის #01 დადგენილებაში, რის საფუძველზეც პროგარმის ხელმძღვანელად, ზეპირი გასაუბრების წესით, შეიძლება შერჩეული იქნას უმაღლესი ან/და პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და სამუშაო გამოცდილება კონკრეტული მიმართულებით.

ექსპერტები გაესაუბრნენ საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ პროგრამის ხელმძღვანელს, გასაუბრების შედეგად დადგინდა ,რომ აღნიშნული პირს აქვს შესაბამისი სამუშაო და ასევე სწავლების გამოცდილება.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ელექტრონული სახით, სასწავლო რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულ კომპიუტერებში.

ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 24 იანვრის #01–01/05 ბრძანების საფუძველზე განსაზღვრულია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტისა და სასწავლო პროცესის ასისტენტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების წესი. წესის თანახმად განსაზღვრულია სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა და ფუნქცია მოვალეობები. აღნიშნული ბრძანების თანახმად სასწავლო უნივერსიტეტს შერჩეული ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომელიც დანიშნულია რექტორის 2020 წლის 1 ივნისის # 01–02/50 ბრანებით და ინკლუზიური პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის ასისტენტი (01.06.2020 ბრძანება #01–02/51) . სასწავლო უნივერსიტეტის ინკლუზიური განათლების სპეციალისტი უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და/ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიულ განათლებაში ჩართვასა და განათლების პროცესში მხარდაჭერას. აფასებს სსსმ სტუდენტების განათლებასთან დაკავშირებულ საჭიროებებს და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, არგებს სასწავლო პროცესსა და გარემოს/ საწარმოო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
პრაქტიკას,სხვა სპეციალისტებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

აღნიშნული მიმართულების სპეციალისტი დანიშნულია ქ. ზუგდიდის შ. მესხიას სახელობის უნივერსიტეტში, ინტერვიურების საშუალებით დადგინდა, რომ რექტორის 2020 წლის 1 ივნისის # 01–02/50 ბრანებით დანიშნული ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მოემსახურება სენაკის ბაზასაც.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი შენობის მთავარ შესასვლელში და ადაპტირებული სველი წერტილი.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი აღზრდა“ შედგენილია სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას.სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია 12 პროფესიულ სტუდენტზე გაანგარიშებით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- შ. მესხიას სახელობის ქ. ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 18 იანვრის #4 დადგენილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/მოკლევადიანი ტრენინგ კურსის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგი/წესი“
- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის # 12 დადგენილება „შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მოწვეული მასწავლებლების (სპეციალისტის შემდეგში „მასწავლებელი“ სამსახურში მიღების, შრომის ანაზრაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“

- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 4 იანვრის #01 დადგენილება;
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 24 იანვრის #01–01/05 ბრძანება;
- სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 1 ივნისის # 01–02/50 ბრძანება;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვიტარების“ მეთოდოლოგია/ წესი და „მართვის ეფექტიანობის, მონიტორინგის და შეფასების სისტემა/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასების მეთოდოლოგია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე საქმიანობა და მისი განვიტარება ხორციელდება ობიექტური კვლევებით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე.

პროფესიული პროგრამების შეფასების მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული განათების მიმართულებით კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია/წესი (აკადემიური საბჭოს 22.04.2020 წლის №25 დადგენილება). აღნიშნული წესი არეგულირებს პროფესიული განათლების მიმართულებით კვლევების ჩატარებას. წესის მიზანია, სასწავლო უნივერსიტეტმა განახორციელოს პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი შიდა და გარე კვლევები, რომელთა შედეგების ანალიზი დაეხმარება მათ შემდგომი საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში არსებობს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც წარმოადგენს საუნივერსიტეტო სტრუქტურას. სამსახურში წარმოდგენილი არის პროფესიული განათლების მიმართულებაც. თუმცა ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა, რომ სენაკის სასწავლო ბაზას ცალკე ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი არ ჰყავს და ამ მიმართულებით საჭირო საკითხების რეგულება ხდება ზუგდიდში განთავსებული ოფისიდან.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქვს დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობები. პროფესიული განათლების მიმართულებით სამსახურში არის ერთი საშტატო ერთეული და პირი რომელიც იკავებს აღნიშნულ პოზიციას, პროფესიული განათლების განვითარების სამსახურთან ერთად ახდენს პროფესიული პროგრამების დანერგვის, განხორციელების, მხარდამჭერის და კონსულტირების საერთო კოორდინაციას. მათ მიერ ხორციელდება აქტივობები, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული მასწავლებლის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილების კვლევას როგორც გამოკითხვის, ასევე ფოკუს-ჯგუფების და ინტერვიურების მეთოდით.
სსიპ შოთა მესიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის სასწავლო ბაზაზე სასწავლო დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების უფრო სრულყოფილად და ეფექტურად გამოყენების მიზნით საჭიროა მეტი კოორდინირებული ქმედებები სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურთან. ამ მიზნით სასურველია სენაკის სასწავლო ბაზაზე მუდმივად იმყოფებოდეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსაურის პასუხისმგებელი პირი. მით უმეტეს ეს საჭიროა გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნულ ბაზაზე დასამატებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გარდა ხორცილდება სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი პროფესიული პროგრამები.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 20.04.2018წ №14დადგენილება;
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 22.04.2020წ №25 დადგენილება;
- სასწავლო უნივერსიტეტის ხარისიხს უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 10.09.2019წ №46 დადგენილება;
- ინტერვიურება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან და უნივერსიყეყის ადმინისტრაციასთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
□არ შეესაბამება

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

   პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა დანართის სახით, რომელიც დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის მიერ. სასწავლო გეგმა შედგენილია სრული ზოგადი განათლების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის მოდულური მიდგომით. სასწავლო გეგმაში ასახულია პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული.

   პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიურებით დგინდება, რომ პროფესიული მასწავლებელი აწარმოებს პორტფოლიოს, რომელშიც მოთავსებულია მოდული, კალენდარული გეგმა, შეფასების ინსტრუმენტები, სასწავლო მასალა და სტუდენტთა განმავიტარებელი შეფასებები.

2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;**

   სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში(მათ შორის სენაკის სასწავლო ბაზაზე)სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა ხორციელდება :პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (აკადემიური საბჭოს №33 დადგენილება 11.06.2020წ)

   სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას სენაკის სასწავლო ბაზაზე პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტტა სწავლება ორ ცვლაში. ასევე პროგრამის პრაქტიკული ნაწილის სწავლების დაგეგმვა პარტნიორ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მოქნილი გრაფიკი. პროგრამის მოდულების განმახორციელებელ პერსონალთან ინტერვიურებისას გაირკვევა, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ აპლიკანტებს ეცნობებათ პროგრამის ხანგრძლივობა და დასრულების დროს მისაღწევი შედეგები. ასევე საჭიროების შემთხვევაში არის საშუალება, რომ მოხდეს რეაგირება შშმ პირებისათვის საჭიროების უზრუნველსაყოფად. შედგეს ღონისძიებათა ნუსხა, რომელიც მოახდენს შესაბამისი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

   ვიზიტის განხორციელების პერიოდში გადამოწმდა სენაკის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსი, რომელიც საჭიროა პროგრამით გათვალისიწნებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Erase Free

ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისიწნებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. პროგრამის განხორციელებაზე უფლების მოპოვების შემთხვევაში იკვეთება იმის შესაძლებლობა, რომ სწავლების პროცესში გამოყენებული ინება საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს დარგის შესაბამისი თანამედროვე ტექნიკური საშუალებები სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის.

პროგრამის მოდულების განხორციელებულ პერსონალთან ინტერვიურებით გამოიკვეთა, რომ მათ უტარდებათ ტრენინგები სწავლების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელი პირების მიერ.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

პროფესიულისაგანმნათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც საკიტხი ეხება სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, გათვალისწინებულია კონკრეტული ნაბიჯები. კერძოდ, სსსმ პროფესიულ სტუდენტებისათვის მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერილია ასეთი პირებისათვის საჭირო ქმედებები.(სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი მუხლი 6). შესაბამისად, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ითვალისწინებს სსსმ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს ექსპერთა გუნდის შეფასების დასკვნის შესაბამისად.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;**

სსიპ შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი პროგრამა [redacted]თანამშრომლობს სასწავლო მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციასთან. მათ შორის სენაკის სასწავლო ბაზაზე არსებული[redacted]პროგრამისთასთვის თანამშრომლობა გათვალისწინებულია.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის გამოიყენება სამი ტიპის A, B და C გარემო. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს C გარემოში სწავლის უსაფრთხოების შექმნას.

სასწავლო გარემოს (A, B და C) ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება უსაფრთხო გარემოში - სპეციალური ნივთიერებები და მოწყობილებები განტავსებულია სპეციალურ კარადებში. გამოიკვეთა, რომ სენაკის სასწავლო ბაზის №103 აუდიტორიაში, სადაც C გარემოა განთავსებული აკლდა ცეცხლმაქრი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

აუცილებელია, რომ სახანძრო უსაფრთხოების მიზნით უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული ლოკაცია საჭირო ტექნიკით, რაზეც მივიღეთადმინისტრაციის თანხმობა, რომ რეკომენდაციას გაითვალისიწინებენ.
უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ვიზიტის განმავლობაში სრულად იყო დაცული რეკომენდაციები, რომელიც შემუშავებული არის პანდემიის პერიოდში საქართველოს მთავრობის და ჯანდაცვის ორგანიზაციების მიერ.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულები;

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კომპონენტი დაწესებულების მიერ არის შეფასებული „მეტწილად“. აღნიშნული შეფასების გაუმჯობესების მიზნით წარმოდგენილია შოტა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული შეუსაბამობის აღმოფხვრის გეგმები(აკადემიური საბჭოს №34 დადგენილება 11.06.2020წ). გაწერილია იდენტიფიცირებული პრობლემები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები. შეფასება „მეტწილად“ გამომდინარეობს იქედან, რომ დაწესებულების რეგულაცია და ვერიფიკაციის მექანიზმები არ პასუხობს არსებულ მოთხოვნებს.

სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შეფასების უწყისების, შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვასა და შენახვას. მტკიცებულებების დაცვა უზრუნველყოფილია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო შემდეგ ექვემდებარება განადგურებას. მტკიცებულებების განადგურების შესახებ დგება შესაბამისი ოქმი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პასუხისმგებელ პირებთან ინტერვიურებით გაირკვა, რომ ყოველი შეფასების შემდეგ მოხდება მიღებული შეფასების ანალიზი და შედეგები გამოყენებული იქნება სწავლების ხარიხის შემდეგი გაუმჯობესების მიზნით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- აკადემიური საბჭოს №34 დადგენილება (11.06.2020წ)

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი

1. ვიზიტის დღის წესრიგი;
2. სენაკის სასწავლო ბაზის ადმინისტრაციული და სხვა პერსონალის საშტატო განრიგი - 2გვ;
3. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები - 3გვ;
4. ბრძანება ინკლუზიური პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის ასისტენტად მოწვევის შესახებ - 2გვ;
5. ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები - 9გვ;

20.07.2020 წ

თარიღი

ქ.სენაკი 2020წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: